ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №96

2011 წლის 12 აგვისტო
ქ. ქობულეთი

ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს 10 კვ. ძაბვის საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის (ხაზობრივი ნაგებობის) მშენებლობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №-57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ 66-ე მუხლის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს ქ.ქობულეთის ტერიტორიაზე აწარმოოს 10 კვ. ძაბვის საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის (ხაზობრივი ნაგებობის) მშენებლობა თანდართული ხაზობრივი ნაგებობის სქემატური ნახაზის შესაბამისად.
2. ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯია“-მ ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე 10 კვ. ძაბვის საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის (ხაზობრივი ნაგებობის) მშენებლობისათვის საჭირო ნებართვის მისაღებად დაკავშირებული პროცედურები აწარმოოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. გაფრთხილდეს ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯია“ მასზედ, რომ სახელმწიფო პროგრამით დაგეგმილი განაშენიანების სამუშაოების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ძალებით უზრუნველყოს საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის ადგილმონაცვლეობა.
4. ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯია“-მ უზრუნველყოს 10 კვ. ძაბვის საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის (ხაზობრივი ნაგებობის) მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან. (შ.პ.ს. „ფოპნეტი“, შ.პ.ს. „სილქნეტი“-ს აჭარის ფილიალი, შ.პ.ს.**„ა-ნეტ A-NET”**, შ.პ.ს. „ქობულეთის წყალკანალი“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი).
5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი);
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).
7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**